საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №317
2020 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 5133 – ააიპ „ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„1494	5134	ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო““.

2. დანართი №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი – 7340 – „სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის შემოსულობის სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური“	7341“;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი – 9300 – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოები და მათი შვილობილი კომპანიების შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის შემოსულობის სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო	9400“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ივანე მაჭავარიანი**